



საქართველოს მთავრობის კანცელარია

კონკურსის მეშვეობით საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის განცხადება და ტექნიკური დავალება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი
2013 წელი

საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს მთავრობის კანცელარია აცხადებს კონკურსს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.
3. კონკურსის მიზანი: ქ. თბილისში, ინგოროყვას ქ. N7-ში მდებარე საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული გათბობა-კონდიციონერება-ვენტილაციის სისტემის საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ შემსყიდველთან ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
4. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **30349** (ოცდაათი ათას სამას ორმოცდაცხრა) ლარი.
5. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>)
6. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება. ამასთან, მე-5 ან მე-6 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
8. საკონკურსო წინადადების წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება : 2013 წლის 18 ნოემბერს 10:00 საათზე;
10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება: 2013 წლის 18 ნოემბერს 18:00 საათზე;
11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტის სახით, 2013 წლის 18 ნოემბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7;
12. დავიანებით წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
13. ანგარიშსწორება გამარჯვებულ კონკურსანტთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
14. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია აღნიშნული საპროექტო სამუშაოების შედეგად განსახორციელებელი სამშენებლო-სარემონტო (მათ შორის აღჭურვილობითი) სამუშაოებისათვის შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნები და ნებართვები, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია შემსყიდველს აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება, მათ შორის ნებართვის გამცემ ორგანოსთან ურთიერთობაში და ზოგადი კონსულტაციებით, ნებართვებისა და შესაბამისი დასკვნების შეუფერხებლად აღების მიზნით. საბოლოო ანგარიშსწორება გამარჯვებულ კონკურსანტთან, განხორციელდება მხოლოდ შესაბამისი საექსპერტო დასკვნებისა და ნებართვების აღების შემდგომ ორმხრივად დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. საექსპერტო დასკვნებისა და შესაბამისი ნებართვების მიღებისათვის საჭირო ყველა მოსაკრებელს გადაიხდის შემსყიდველი.
15. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა წარმოადგინოს:
 - საკონკურსო წინადადების ფასი (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით);
 - თანდართული ტექნიკური დავალების საფუძველზე, პროექტის დეტალური კონცეფცია სისტემების, დანადგარების და სხვათა ჩათვლით, სავარაუდო მწარმოებლის მითითებით;
 - ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ (დეტალური გეგმა-გრაფიკი);
 - გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მინიმუმ სამი სარეკომენდაციო წერილი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ, პრეტენდენტი კომპანიის უშუალო როლის მითითებით აღნიშნულ პროექტებში, ხელშეკრულებებს და მის

ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს), ასევე მიიღება, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება, დადასტურებული შესაბამისი ხელშეკრულებებით და მის ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით;

- ცნობა შესაბამისი სასამართლოდან (თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლო, მიმწოდებლის იურიდიული მისამართის მიხედვით), რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება. საკვალიფიკაციო მოთხოვნა ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც (მათი არსებობის შემთხვევაში).
- რეკვიზიტები
- პროექტზე მომუშავე პირთა ავტობიოგრაფიები (CV);

16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

17. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- პროექტი: კოეფიციენტი - 0.6
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი - 0.2
- გამოცდილება: კოეფიციენტი - 0.2

შენიშვნა: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება თუ იგი დააგროვებს კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების ყველაზე მაღალ ჯამურ მაჩვენებელს. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა ხელშეკრულების დადებიდან 90 დღეში;
19. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებას იტოვებს შეიტანოს ცვლილებები წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებაში;
20. გამარჯვებული კონკურსანტი პასუხისმგებელია პროექტის ნებისმიერ ხარვეზზე და მის შედეგად წარმოშობილ პირდაპირ თუ ირიბ ზარალზე.
21. წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია.
22. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
23. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისა და საჭირო განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: გიორგი შუბლაძე: 577 55 49 49 ; gshubladze@geo.gov.ge

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის კანცელარიის მთლიანი ადმინისტრაციული შენობის არსებული გათბობა-კონდიციონერბა-ვენტილაციის სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები.

დასახელება	ფართობი კვ.მ	სიმაღლე მეტრი	საანგარიშო პარამეტრები :	საერთო ფართობი კვ.მ
ადმინისტრაციული შენობა A ბლოკი (12 სართული) B ბლოკი (9 სართული)		2.9	- შიგა ჰაერის ტემპერატურა ცივ პერიოდში არანაკლებ 22 ⁰ C; - შიგა ჰაერის ტემპერატურა თბილ პერიოდში არაუმეტეს 24 ⁰ C; მისაწოდებელი გარე (სუფთა) ჰაერის მინიმალური რაოდენობა ერთ ადამიანზე - 40მ ³ /სთ, ერთ საანგარიშო ტემპერატურა ცივ პერიოდში არანაკლებ 20 ⁰ C;	15174.50
საოფისე ფართი	8174.5			
დამხმარე ფართი (მხოლოდ გათბობის სისტემები)	6316			
კიბის უჯრედები	684			
<ul style="list-style-type: none"> საპროექტო სამუშაოები არ მოიცავს ადმინისტრაციული შენობის III და II სართულის ფოიეების ფართებს, სადაც ლოკალურად ფუნქციონირებს VRF სისტემები 				

დამატებითი პირობები:

- გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს პროექტის შემუშავება, რომელიც მოიცავს სრულწლიური ჰაერის გათბობა-კონდიციონერბის და გამწოვ-მოდინებითი ვენტილაციის სისტემებს, ხოლო დამხმარე ფართებში – გათბობის სისტემებს. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ეტაპობრივ მონტაჟსა და ექსპლუატაციაში გაშვებას შენობის გამონთავისუფლებული ფართების მიხედვით.
- პროექტში საანგარიშო პარამეტრების განსაზღვრისას უნდა იქნას გათვალისწინებული კლიმატური საშუალო, მინიმალური და მაქსიმალური ტემპერატურების ისტორიული და მიმდინარე მონაცემები და შენობის არქიტექტურა;
- სისტემების თბომომარაგებისა და სიცივით მომარაგებისათვის უნდა გადაპროექტდეს საქვაბე და სამაცივრო დანადგარები კანცელარიის ტერიტორიაზე სხვა ობიექტების დატვირთვის გათვალისწინებით. საქვაბის პროექტირებისას გათბობის ვენტილაციის ჰაერის კონდიციონერბისა და ცხელწყალმომარაგების შესაძლებლობის ფარგლებში გამოყენებულ უნდა იქნას არსებული დანადგარები.
- დაუშვებელია სამუშაო პროცესის შეფერხება, რაც მოითხოვს ახალი სისტემის ეტაპობრივად მონტაჟს და გაშვებას და იგივე პრინციპით ძველი სისტემის გაუქმებას. ახალი სისტემა უნდა იყოს თანამედროვე და ეფექტური, როგორც მოთხოვნილი ტემპერატურული რეჟიმების მიღწევა-დაცვაში, ექსპლუატაციის პირობებით, ასევე, ენერგო დანახარჯების კუთხით რენტაბელური. ასევე აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სისტემის მონტაჟის და ექსპლუატაციის ეკონომიურობა. სისტემის შერჩევა და მონტაჟის დეტალები შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთთან. პროექტში შემოთავაზებული გათბობა-გაგრილების-ვენტილაციის სისტემას უნდა გააჩნდეს ხარისხობრივი სერიფიკატი და უნდა ქონდეს მისაღები საგარანტიო პირობები.
- პროექტირებისას გასათვალისწინებელია ხანძარსაწინააღმდეგო ვენტილაციის ნორმები.

შენიშვნა:

- 1) ინფორმაცია ადამიანების რაოდენობაზე, მოწყობილობებზე და სხვა პროექტირებისათვის საჭირო მონაცემებზე გამარჯვებულის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის/კითხვარის საფუძველზე მიწოდებული იქნება შემსყიდველის მიერ და უნდა იქნას სრულად ასახული საპროექტო დოკუმენტაციაში.
- 2) გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ნებართა საიდულოებაზე დაშვების შესახებ.
- 3) მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი ნებას რთავს დაინტერესებულ პრეტენდენტს, განახრციელოს დასაპროექტებელი ფართის ადგილზე დათვალიერება და შესწავლა, მხოლოდ საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვების ნებართვის წარმოდგენის შემთხვევაში.